

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №39

2015 წლის 5 ივნისი

ქ. თბილისი

მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები და წესი №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს „მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმა“ №2 დანართის, „სოციალური მუშაკის/რეაბილიტაციის ოფიცრის მიერ განხორციელებული შეფასების/მონიტორინგის/ ზედამხედველობის ფორმა“ №3 დანართის, „ფსიქოლოგის მიერ განხორციელებული შეფასების/მონიტორინგის/ზედამხედველობის ფორმა“ №4 დანართის, „მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრის ჩანაწერის ფორმა“ №5 დანართის, „სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფორმა“ №6 დანართის, „პრობაციის/აღსრულების ოფიცრის მიერ განხორციელებული შეფასების/მონიტორინგის/ზედამხედველობის ფორმა“ №7 დანართის, „სოციალური მუშაკის/რეაბილიტაციის ოფიცრის/ფსიქოლოგის მომსახურების ჩანაწერის ფორმა“ №8 დანართის და „თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმა“ №9 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მსჯავრდებულის რისკების შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპების, წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №56 ბრძანება.

მუხლი 4

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრი

გიორგი მღებრიშვილი

დანართი №1

მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები და წესი

თავი I

პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის რისკის შეფასება და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველოს სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) მიერ მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია).

2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზნებს პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს მისი ტერიტორიული ორგანოების - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების (შემდგომში - პრობაციის ბიურო) და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების



(შემდგომში - დაწესებულება) საშუალებით, ელექტრონული ფორმით მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის საფუძველზე.

3. მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა, თანასწორობა და მულტიდისციპლინური გუნდის დამოუკიდებლობა.

მუხლი 2. პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის წესი

1. პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას სრულწლოვან პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა და სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა მიმართ ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი, ბრძანების №2 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად.

2. მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედის პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. მულტიდისციპლინური გუნდი იქმნება პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ხელმისაწვდომია სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები.

3. პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებები, ასევე თუ აღსასრულებელ სამართლებრივ აქტს მინიჭებული აქვს საიდუმლოების გრიფი, მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას უზუნველყოფს პრობაციის ოფიცერი. ამ შემთხვევაში პრობაციის ოფიცერი ავსებს მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მხოლოდ პირველ ნაწილს.

4. რისკის შეფასება და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა არ ხორციელდება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც უფლება-მოვალეობათა ოქმის გაცნობიდან საპრობაციო ვადის დასრულებამდე დარჩენილი აქვს 2 თვეზე ნაკლები ვადა, ხოლო იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც უფლება-მოვალეობათა ოქმის გაცნობიდან საპრობაციო ვადის დასრულებამდე დარჩენილი აქვს 4 თვეზე ნაკლები ვადა, პრობაციის ოფიცერი რისკის შეფასებას ახორციელებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

5. მსჯავრდებულის რისკის შეფასების საერთო ვადა, გარდა ამ ბრძანების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, განისაზღვრება 32 სამუშაო დღით, რომლის ათვლა იწყება მსჯავრდებულისათვის უფლება-მოვალეობათა შესახებ ოქმის გაცნობის დღიდან. თუ მსჯავრდებულმა „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით დროებით შეიცვალა ადგილსამყოფელი, ეს პერიოდი არ ჩაითვლება რისკის შეფასების საერთო ვადის გამომანგარიშებისას.

6. მსჯავრდებულის რისკის შეფასებას იწყებს პრობაციის ოფიცერი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების შესახებ ოქმის გაცნობის დღიდან და 7 სამუშაო დღის ვადაში ავსებს მსჯავრდებულის რისკის შეფასების დადგენილი ფორმის პირველი ნაწილის ქვემოთჩამოთვლილ პუნქტებსა და მე-2 ნაწილს სრულად:

ა) პუნქტი 1. მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი ინფორმაცია - სრულად;

ბ) პუნქტი 2. მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქცევა - სრულად;

გ) პუნქტი 3. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და პირობები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი და ჯანმრთელობა - მხოლოდ 3.10 ქვეპუნქტი;

დ) პუნქტი 4. მსჯავრდებულის განათლება, სამუშაო და ეკონომიკური მდგომარეობა - სრულად;

ე) პუნქტი 5. მსჯავრდებულის დამოკიდებულებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და სხვა) - სრულად;

ვ) პუნქტი 6. მსჯავრდებულის აზროვნება და ქცევა - მხოლოდ 6.1 ქვეპუნქტი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 ნაწილის შევსების შედეგად განისაზღვრება ზიანის რისკის დონე.



მუხლი 3. ზიანის რისკის დონის განსაზღვრა

1. ზიანის რისკი შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი დონის.

2. ზიანის რისკის დონე განისაზღვრება მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 ნაწილის საინფორმაციო ველებისათვის მინიჭებული ქულების ჯამის მიხედვით:

- ა) დაბალი დონე - ქულათა ჯამი - 0-დან -5 ჩათვლით;
- ბ) საშუალო დონე - ქულათა ჯამი - 6-დან -39 ჩათვლით;
- გ) მაღალი დონე - ქულათა ჯამი - 40 და მეტი.

3. მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 ნაწილის თითოეული საინფორმაციო ველი, მასზე გაცემული პასუხიდან გამომდინარე ფასდება შემდეგი ქულებით:

№1 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№2 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№3 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№4 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№5 საინფორმაციო ველი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -1 ქულა
№6 საინფორმაციო ველი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -1 ქულა
№7 საინფორმაციო ველი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -1 ქულა
№8 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -5 ქულა
№9 საინფორმაციო ველი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -5 ქულა
№10 საინფორმაციო ველი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ექვი -1 ქულა

მუხლი 4. ზიანის რისკის დაბალი დონის განსაზღვრისას განსახორციელებელი პროცედურები

1. იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა ზიანის რისკის დაბალი დონე, მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის დარჩენილ პუნქტებს ავსებს პრობაციის ოფიცერი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი შეფასების დასრულებისას პრობაციის ოფიცერი ადგენს მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხს მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის პირველი ნაწილის 2.5; 3.4; 3.12; 4.8; 5.12 და 6.6. ქვეპუნქტებში ასახული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ზიანის რისკის მაჩვენებელთან ერთობლიობაში.
3. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის დადგენისას, პრობაციის ოფიცერი დამოუკიდებლად ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას.
4. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის დადგენისას, პრობაციის ოფიცერი, საჭიროების შემთხვევაში, ხოლო განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის დადგენისას, სავალდებულო წესით, დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს მსჯავრდებულის სოციალურ მუშაკთან/ფსიქოლოგთან შეხვედრის თაობაზე.
5. პრობაციის ბიუროს/ჯგუფის უფროსი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მიმართვას უგზავნის შესაბამის სოციალურ მუშაკს/ფსიქოლოგს, რომელიც მსჯავრდებულის პრობაციის ბიუროში მომდევნო გამოცხადების დღიდან 7 სამუშაო დღის ვადაში მაქსიმუმ ორჯერ ხვდება მსჯავრდებულს და ავსებს ბრძანების №3 და №4 დანართებით დადგენილ ფორმებს.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით შევსებულ ფორმას სოციალური მუშაკი/ფსიქოლოგი



წარუდგენს პრობაციის ოფიცერს და იკრიბება პრობაციის ოფიცრისა და სოციალური მუშაკის/ფსიქოლოგისაგან შემდგარი მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შეხვედრიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას და აცნობს მსჯავრდებულს პრობაციის ბიუროში მისი მომდევნო გამოცხადების დღეს.

7. მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრისას, პრობაციის ოფიცერი აფორმებს ბრძანების №5 დანართით დადგენილ ჩანაწერს.

მუხლი 5. ზიანის რისკის საშუალო დონის განსაზღვრისას განსახორციელებელი პროცედურები

1. იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა ზიანის რისკის საშუალო დონე, პრობაციის ოფიცერი დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში სოციალური მუშაკის ჩართვასთან დაკავშირებით. პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსი საქმეს გადასცემს შესაბამის სოციალურ მუშაკს.

2. საქმის მიღების შემდეგ, სოციალური მუშაკი პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის არაუგვიანეს მომდევნო გამოცხადებიდან 12 სამუშაო დღის ვადაში ახორციელებს მსჯავრდებულთან არაუმეტეს 3 შეხვედრას, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულის თანხმობით, 1 ვიზიტს ახორციელებს მსჯავრდებულის ოჯახში და ავსებს მსჯავრდებულის რისკის შეფასების პირველი ნაწილის ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს:

ა) პუნქტი 3. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და პირობები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი და ჯანმრთელობა - სრულად, გარდა 3.10 ქვეპუნქტისა.

ბ) პუნქტი 5. მსჯავრდებულის დამოკიდებულებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და სხვა) - მხოლოდ 5.12 ქვეპუნქტს.

გ) პუნქტი 6. მსჯავრდებულის აზროვნება და ქცევა - სრულად.

3. სოციალური მუშაკის პირველი შეხვედრის თარიღსა და დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს პრობაციის ოფიცერი.

4. განსაკუთრებული საჭიროებისას, თუ მსჯავრდებულის შესაფასებლად არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა, შესაფასებლად დამატებითი ვადის მოთხოვნით სოციალური მუშაკი პრობაციის ოფიცერთან შეთანხმებით მიმართავს პრობაციის ბიუროს/ჯგუფის უფროსს. დამატებითი ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 7 სამუშაო დღით.

5. შეფასების პროცესში, თუ სოციალური მუშაკის მიერ გამოიკვეთა მსჯავრდებულთან ფსიქოლოგის შეხვედრის საჭიროება, აღნიშნულის თაობაზე სოციალური მუშაკი მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს, რომელიც მიმართავს უგზავნის შესაბამის ფსიქოლოგს შესასრულებლად, ხოლო ცნობის სახით პრობაციის ოფიცერს. ფსიქოლოგის პირველი შეხვედრის თარიღსა და დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს სოციალური მუშაკი.

6. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელიც იკრიბება და მოქმედებს ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. ზიანის რისკის მაღალი დონის განსაზღვრისას განსახორციელებელი პროცედურები

1. იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა ზიანის რისკის მაღალი დონე, პრობაციის ოფიცერი დაუყოვნებლივ მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით, რომელიც საქმეს გადაუმისამართებს შესაბამის ფსიქოლოგს.

2. საქმის მიღების შემდეგ, ფსიქოლოგი პრობაციის ბიუროში მსჯავრდებულის არაუგვიანეს მომდევნო გამოცხადებიდან 12 სამუშაო დღის ვადაში ახორციელებს მსჯავრდებულთან არაუმეტეს 3 შეხვედრას, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულის თანხმობით, პირველ ვიზიტს ახორციელებს მსჯავრდებულის ოჯახში და ავსებს მსჯავრდებულის რისკის შეფასების პირველი ნაწილის ქვემოთჩამოთვლილ პუნქტებს:



ა) პუნქტი 3. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და პირობები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი და ჯანმრთელობა - სრულად, გარდა 3.10 ქვეპუნქტისა.

ბ) პუნქტი 5. მსჯავრდებულის დამოკიდებულებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და სხვა) - მხოლოდ 5.12 ქვეპუნქტს.

გ) პუნქტი 6. მსჯავრდებულის აზროვნება და ქცევა - სრულად.

3. ფსიქოლოგის პირველი შეხვედრის თარიღსა და დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს პრობაციის ოფიცერი.

4. განსაკუთრებული საჭიროებისას, თუ მსჯავრდებულის შესაფასებლად არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვადა, შესაფასებლად დამატებითი ვადის მოთხოვნით ფსიქოლოგი პრობაციის ოფიცერთან შეთანხმებით მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს. დამატებითი ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 7 სამუშაო დღით.

5. შეფასების პროცესში, თუ ფსიქოლოგის მიერ გამოიკვეთა მსჯავრდებულთან სოციალური მუშაკის შეხვედრის საჭიროება, აღნიშნულის თაობაზე ფსიქოლოგი მიმართავს პრობაციის ბიუროს/პრობაციის ოფიცერთა ჯგუფის უფროსს, რომელიც მიმართავს უგზავნის შესაბამის სოციალურ მუშაკს შესასრულებლად, ხოლო ცნობის სახით პრობაციის ოფიცერს. სოციალური მუშაკის პირველი შეხვედრის თარიღსა და დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს ფსიქოლოგი.

6. განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის განსაზღვრა ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელიც იკრიბება და მოქმედებს ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა

1. სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა (შემდგომში - გეგმა) დგება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ხოლო ამ ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პრობაციის ოფიცრის მიერ მსჯავრდებულის რისკის შეფასების პირველი ნაწილის მე-9 პუნქტში გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე, ბრძანების №6 დანართით დადგენილი ფორმით.

2. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემუშავებული გეგმის შევსება ხორციელდება პრობაციის ოფიცრის მიერ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმა თანხმდება მსჯავრდებულთან, რაც დასტურდება გეგმაზე მსჯავრდებულის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის აღნიშვნით. გეგმის ხელმოწერაზე უარი არ აფერხებს გეგმის აღსრულებას.

მუხლი 8. სარეაბილიტაციო პროგრამები

ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით, მსჯავრდებული მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში შემდეგი წესით:

ა) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ხასიათის;

ბ) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფლობითი ასევე სავალდებულო ხასიათის;

გ) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

დ) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

ე) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის



შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

ვ) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

ზ) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

თ) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

ი) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის;

მუხლი 9. გეგმის შესრულების მონიტორინგი და გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობა

1. გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის დასრულების ეტაპზე, მსჯავრდებულისათვის გეგმით გაწერილი ღონისძიებების შედეგების შეფასების მიზნით.

2. გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს გეგმის დოკუმენტში მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

3. თუ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი არის პრობაციის ოფიცერი, მონიტორინგის განხორციელების პროცესში ივსება ბრძანების №7 დანართით დადგენილი ფორმა, ხოლო თუ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი არის სოციალური მუშაკი ან ფსიქოლოგი მონიტორინგის განხორციელების პროცესში ივსება ბრძანების №3, №4 და №8 დანართებით დადგენილი ფორმები.

4. გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების შეფასების მიზნით, გეგმის შესრულების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ასევე განსაზღვრავს გეგმის დასრულების შემდგომ პრობაციის ოფიცერთან ერთად მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ სხვა პირს/პირებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები პრობაციის ოფიცერს წარედგინება მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრაზე.

6. თუ მსჯავრდებულის მიმართ დადგენილი საპრობაციო ვადა შეადგენს 18 თვეს ან ნაკლებს, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობა ხორციელდება ყოველ 3 თვეში ერთხელ, ხოლო თუ საპრობაციო ვადა 18 თვეზე მეტია, ზედამხედველობა ხორციელდება ყოველ 6 თვეში ერთხელ.

7. იმ შემთხვევაში, თუ გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს არ ჰქონდა განსაზღვრული სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ პრობაციის ოფიცერი ბრძანების №7 დანართით დადგენილი ფორმით, ხოლო თუ მსჯავრდებულს განსაზღვრული ჰქონდა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობას პრობაციის ოფიცერთან ერთად ახორციელებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ბრძანების №3 და №4 დანართებით დადგენილი ფორმებით.

8. გეგმის შესრულების მონიტორინგის ან გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობის განხორციელებისას მსჯავრდებულის ცხოვრებაში თუ გამოიკვეთა ისეთი სახის ცვლილება, რაც არსებითად ცვლის მის მდგომარეობას, პრობაციის ოფიცერთან შეთანხმებით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დაუყოვნებლივ ხორციელდება გეგმაში ცვლილების შეტანა ან ახალი გეგმის შედგენა.



9. მულტიდისციპლინური გუნდი გეგმაში ცვლილების შეტანას ან ახალი გეგმის შედგენას ახორციელებს შეკრებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ამ ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

თავი II

დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის შეფასება და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა

მუხლი 10. დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის წესი

1. დაწესებულებაში მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ადგენას მულტიდისციპლინური გუნდი, ბრძანების №9 დანართით დადგენილი ფორმის შესაბამისად, სრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ.

2. მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში, შედის აღსრულების სამსახურის ოფიცერი (შემდგომში - აღსრულების ოფიცერი), რეაბილიტაციის სამსახურის ოფიცერი (შემდგომში - რეაბილიტაციის ოფიცერი) და ფსიქოლოგის სპეციალობის მქონე რეაბილიტაციის ოფიცერი (შემდგომში - ფსიქოლოგი).

3. მსჯავრდებულის რისკის შეფასების საერთო ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით, რომლის ათვლა იწყება მსჯავრდებულისათვის უფლება-მოვალეობათა შესახებ ოქმის გაცნობის დღიდან.

4. მსჯავრდებულის რისკის შეფასებას იწყებს აღსრულების ოფიცერი მსჯავრდებულისთვის უფლება-მოვალეობების შესახებ ოქმის გაცნობის დღიდან და 5 სამუშაო დღის ვადაში მსჯავრდებულთან ახორციელებს არაუმეტეს 3 შეხვედრას. აღსრულების ოფიცერი ავსებს რისკის შეფასების დადგენილი ფორმის ქვემოთჩამოთვლილ პუნქტებს:

ა) პუნქტი 1. მსჯავრდებულის შესახებ ზოგადი ინფორმაცია - სრულად;

ბ) პუნქტი 2. მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქცევა - სრულად;

გ) პუნქტი 3. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და პირობები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი და ჯანმრთელობა - მხოლოდ 3.6; 3.7 და 3.8 ქვეპუნქტებს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის შევსების შემდეგ, აღსრულების ოფიცერი მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში რეაბილიტაციის ოფიცერის ჩართვასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მიმართავს აღსრულების სამსახურის უფროსს, რომელიც საქმეს გადაუშისამართებს სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურს.

6. სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი მიმართვის მიღებიდან დაუყოვნებლივ, მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში რთავს რეაბილიტაციის შესაბამის ოფიცერს, რომელიც 5 სამუშაო დღის ვადაში მსჯავრდებულთან ახორციელებს არაუმეტეს 3 შეხვედრას და ავსებს რისკის შეფასების დადგენილი ფორმის ქვემოთჩამოთვლილ პუნქტებს:

ა) პუნქტი 3. მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილი და პირობები, ურთიერთობები, ცხოვრების წესი და ჯანმრთელობა - 3.1;3.2;3.3;3.4 და 3.5 ქვეპუნქტებს.

ბ) პუნქტი 4. მსჯავრდებულის განათლება, სამუშაო და ეკონომიკური მდგომარეობა - სრულად.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის შევსების შემდეგ, რეაბილიტაციის ოფიცერი მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მიმართავს სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსს, რომელიც საქმეს გადაუშისამართებს შესაბამის ფსიქოლოგს.

8. ფსიქოლოგი საქმის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მსჯავრდებულთან ახორციელებს არაუმეტეს 3 შეხვედრას და ავსებს რისკის შეფასების დადგენილი ფორმის ქვემოთჩამოთვლილ პუნქტებს:

ა) პუნქტი 5. მსჯავრდებულის დამოკიდებულებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და სხვა) - სრულად;

ბ) პუნქტი 6. მსჯავრდებულის აზროვნება და ქცევა - სრულად.



9. მსჯავრდებულის რისკის შეფასების პროცესში რეაბილიტაციის ოფიცრის ჩართვისას, მისი პირველი შეხვედრის დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს აღსრულების ოფიცერი, ხოლო ამ პროცესში ფსიქოლოგის ჩართვისას, მისი პირველი შეხვედრის დროს მსჯავრდებულთან ათანხმებს რეაბილიტაციის ოფიცერი.

მუხლი 11. მულტიდისციპლინური გუნდის შეკრება

ამ ბრძანების მე-10 მუხლით გათვალისწინებული წესით მსჯავრდებულის რისკის შეფასების დადგენილი ფორმის შევსების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც შეკრებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განსაზღვრავს მსჯავრდებულის ზიანის რისკის დონეს და მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხს და ადგენს სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ გეგმას.

ზიანის რისკი შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი დონის.

ზიანის რისკის დონე განისაზღვრება მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის მე-2 პუნქტის 2.2, 2.9 და 2.10 ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის 3.7 და 3.8 ქვეპუნქტების, მე-5 პუნქტის 5.1 და 5.2 ქვეპუნქტებისა და მე-6 პუნქტის 6.1, 6.4 და 6.5 ქვეპუნქტებისათვის მინიჭებული ქულების ჯამის მიხედვით:

- ა) დაბალი დონე - ქულათა ჯამი - 0-დან -5 ჩათვლით;
- ბ) საშუალო დონე - ქულათა ჯამი - 6-დან -39 ჩათვლით;
- გ) მაღალი დონე - ქულათა ჯამი - 40 და მეტი.

ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ქვეპუნქტები, მასზე გაცემული პასუხიდან გამომდინარე ფასდება შემდეგი ქულებით:

№2.2 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№2.9 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№2.10 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№3.7 ქვეპუნქტი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -1 ქულა
№3.8 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -5 ქულა
№5.1 ქვეპუნქტი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -1 ქულა
№5.2 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	
№6.1 ქვეპუნქტი	კი - 40 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -5 ქულა
№6.4 ქვეპუნქტი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -1 ქულა
№6.5 ქვეპუნქტი	კი - 10 ქულა	არა - 0 ქულა	არსებობს ეჭვი -1 ქულა

მულტიდისციპლინური გუნდი მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხს განსაზღვრავს მსჯავრდებულის რისკის შეფასების ფორმის 2.11;3.9;4.5;5.6 და 6.8 ქვეპუნქტებში ასახული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ზიანის რისკის მაჩვენებელთან ერთობლიობაში.

მულტიდისციპლინური გუნდის შეკრებას ხელმძღვანელობს აღსრულების ოფიცერი, რომელიც აფორმებს ბრძანების №5 დანართით დადგენილ ჩანაწერს.

მუხლი 12. სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა



1. სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა (შემდგომში - გეგმა) დგება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ბრძანების №6. დანართით დადგენილი ფორმით.
2. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემუშავებული გეგმის შევსება ხორციელდება აღსრულების ოფიცრის მიერ.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმა თანხმდება მსჯავრდებულთან, რაც დასტურდება გეგმაზე მსჯავრდებულის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის აღნიშვნით. გეგმის ხელმოწერაზე უარი არ აფერხებს გეგმის აღსრულებას.

მუხლი 13. სარეაბილიტაციო პროგრამები

ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით, მსჯავრდებულს მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში შემდეგი წესით:

ა) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს რეაბილიტაციის ოფიცერი;

ბ) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც ნებაყოფლობითი ასევე სავალდებულო ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს რეაბილიტაციის ოფიცერი;

გ) ზიანის რისკის დაბალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს ფსიქოლოგი;

დ) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს რეაბილიტაციის ოფიცერი;

ე) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს რეაბილიტაციის ოფიცერი;

ვ) ზიანის რისკის საშუალო დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს ფსიქოლოგი;

ზ) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის დაბალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს ფსიქოლოგი;

თ) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის საშუალო ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს ფსიქოლოგი;

ი) ზიანის რისკის მაღალი დონის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის მაღალი ხარისხის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულის მონაწილეობა შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო ასევე ნებაყოფლობითი ხასიათის, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს ფსიქოლოგი.

მუხლი 14. გეგმის შესრულების მონიტორინგი და გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობა

1. გეგმის მონიტორინგი ხორციელდება გეგმის დასრულების ეტაპზე, მსჯავრდებულისათვის გეგმით გაწერილი ღონისძიებების შედეგების შეფასების მიზნით.
2. გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს გეგმის დოკუმენტში მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი



პირი/პირები.

3. თუ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი არის აღსრულების ოფიცერი, მონიტორინგის განხორციელების პროცესში ივსება ბრძანების №7 დანართით დადგენილი ფორმა, ხოლო თუ მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი პირი არის რეაბილიტაციის ოფიცერი ან ფსიქოლოგი მონიტორინგის განხორციელების პროცესში ივსება ბრძანების №3, №4 და №8 დანართებით დადგენილი ფორმები.

4. გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების შეფასების მიზნით, გეგმის შესრულების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, იკრიბება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც ასევე განსაზღვრავს გეგმის დასრულების შემდგომ აღსრულების ოფიცერთან ერთად მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ სხვა პირს/პირებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები აღსრულების ოფიცერს წარედგინება მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრაზე.

6. გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობა ხორციელდება თვეში ერთხელ.

7. იმ შემთხვევაში, თუ გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს არ ჰქონდა განსაზღვრული სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ აღსრულების ოფიცერი ბრძანების №7 დანართით დადგენილი ფორმით, ხოლო თუ მსჯავრდებულს განსაზღვრული ჰქონდა სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის ვალდებულება, გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობას აღსრულების ოფიცერთან ერთად ახორციელებს ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები ბრძანების №3 და №4 დანართებით დადგენილი ფორმებით.

8. გეგმის შესრულების მონიტორინგის ან გეგმის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის მდგომარეობის ზედამხედველობის განხორციელებისას მსჯავრდებულის ცხოვრებაში თუ გამოიკვეთა ისეთი სახის ცვლილება, რაც არსებითად ცვლის მის მდგომარეობას, აღსრულების ოფიცერთან შეთანხმებით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დაუყოვნებლივ ხორციელდება გეგმაში ცვლილების შეტანა ან ახალი გეგმის შედგენა.

9. მულტიდისციპლინური გუნდი გეგმაში ცვლილების შეტანას ან ახალი გეგმის შედგენას ახორციელებს შეკრებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამ ბრძანების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

